**საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება**

მისამართი: ი. ქიქიძის ქ. № 15, თბილისი, 0102, საქართველო
ტელ.: (995 32) 2961534 / 291092 / 2943008
ფაქსი: (995 32) 2953304; ელ-ფოსტა: redcross@redcross.ge
ვებ-გვერდი: www.redcross.ge

**GEORGIA RED CROSS SOCIETY**

Address: 15, J. Kakhidze str., Tbilisi, 0102, Georgia
Tel.: (995 32) 2961534 / 2961092 / 2943008
Fax: (995 32) 2953304; e-mail: redcross@redcross.ge
Web-site: www.redcross.ge

№ 383

თბილისი / TBILISI 04.07 2013

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრს
ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

მოგესალმებით საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებიდან და გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 14-16 ივლისს საქართველოს სამუშაო ვიზიტით სტუმრობს ირანის წითელი ნახევარმთვარის დელეგაცია ორგანიზაციის პრეზიდენტის, ბატონი ალი ასგარ ფეივანდის ხელმძღვანელობით. სტუმრები ადგილზე გაეცნობიან საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების საქმიანობებს, მიღწევებსა და გამოწვევებს. მათი დიდი სურვილია, რომ ქვეყანაში ყოფნის პერიოდში შეხვედრები გამართონ სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის უმაღლესი თანამდებობის პირებთან, მათ შორის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრთან, ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძესთან.

მოგმართავთ თხოვნით, ა.წ. 15 ივლისს, თქვენთვის სასურველ დროს ჩავნიშნოთ შეხვედრა ბატონ ალი ასგარ ფეივანდს (დელეგაციის წევრებთან ერთად), საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების პრეზიდენტს, ქალბატონ ნათია ლოლაძესა და ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს შორის.
შეხვედრაზე დამსწრეთა სია იხ. ქვემოთ:

1. **ნათია ლოლაძე** – საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების პრეზიდენტი
2. **ნინო ოსეფაიშვილი** – საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების გენერალური მდივანი
3. **ალი ასგარ ფეივანდი** – ირანის წითელი ნახევარმთვარის პრეზიდენტი
4. **მორტეზა სალიმი** – ირანის წითელი ნახევარმთვარის სამაშველო ორგანიზაციის ხელმძღვანელი
5. **ჰასან ესფანდიარი** – ირანის წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო პროტოკოლისა და კომინიკაციის უფროსის მოადგილე.

მადლობას გიხდით წინასწარ,

პატივისცემით,

ნინო ოსეფაიშვილი

გენერალური მდივანი